ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს მწვანე სკოლა-დიღომის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლიანა კობესაშვილი **წევრ(ებ)ი:** მარიამ კავლელიშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒**არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს მწვანე სკოლა-დიღომი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 401959528

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ევგენი მიქელაძის ქუჩა N3ა
საფოსტო ინდექსი	**0159**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://greenschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@greenschool.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 2 520 008

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 07.10.2025 წლის ბრძანება MES 3 25 0001297156
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	17.10.2025 წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 07 და 21 მაისს შემოვიდა კორესპონდენციები (№499923 და N556895, ავტორი ნ.ჯ), რომელთაგან პირველ კორესპონდენციაში საუბარია „საქართველოს განათლების ჯგუფის“ მხრიდან შპს „წვანე სკოლაში“, პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ შესაძლო დარღვევებზე. კერძოდ, განმცხადებლის თქმით, სკოლაში გაკვეთილებს სისტემატურად ატარებენ სტუდენტები მასწავლებლების ნაცვლად, რაც, მისი თქმით, 90%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის დავალებით ხორციელდება და მიზანი ფინანსური რესურსების დაზოგვაა. აღნიშნული პრაქტიკა, ნ.ჯ-ს თქმით, „უარყოფითად აისახება სწავლების ხარისხზე და იწვევს მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას“. განცხადების ავტორი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სთხოვს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და დაადგინოს, შეესაბამება თუ არა სტუდენტების დასაქმება მასწავლებლის პოზიციაზე „ეროვნული სასწავლო გეგმის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით ან/და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს. მეორე კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ სკოლა ფუნქციონირებს რამდენიმე იურიდიული პირის სახით და წარმოდგენილია ავტორიზებული იურიდიული პირების სია, რომელშიც მითითებულია მათი დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდები, ფაქტობრივი მისამართები, აგრეთვე, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ნომრები და თარიღები. ჩამოთვლილ იურიდიულ პირებს შორის არის შპს მწვანე სკოლა - დიღომიც.

კორესპონდენციებში აღწერილი გარემოებების შესასწავლად, ცენტრის 2025 წლის 7 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, სკოლაში მივლინებული იქნა ექსპერტთა ჯგუფი. აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად განხორციელდა მონიტორინგი და შესწავლილ იქნა კორესპონდენციებში დაფიქსირებული გარემოებების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში, რაც ხელს უწყობდა მხარეთა შორის ეფექტურ კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- სკოლის ორგანიზაციული მოწყობა (სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და საგაკვეთილო ცხრილი);
- სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები;
- სკოლაში დასაქმებულთა კვალიფიკაციები;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, განხორციელდა ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან: სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. დღის წესრიგის მიხედვით, დაგეგმილი იყო გასაუბრება განცხადების ავტორთან. მასთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, თუმცა განმცხადებელმა გასაუბრებაში მონაწილეობა საჭიროდ არ მიიჩნია.

განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში, სკოლის დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა შემდეგი ფაქტები: სკოლაში მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს სტუდენტი. სამუშაო აღწერილობის მიხედვით მასწავლებლის ასისტენტი ასისტირებას უწევს მასწავლებელს. ის ეხმარება მასწავლებელს სწავლების პროცესის ორგანიზებაში და განხორციელებაში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მხარდაჭერას, მათ შორის სსსმ მოსწავლეების. ასისტენტი ხელს უწყობს პოზიტიური, უსაფრთხო და დამხმარე საკლასო გარემოს შექმნას, დისციპლინის დაცვას, სასწავლო რესურსების მომზადებას. თანამშრომლობს მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან, ესწრება ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების აქტივობებს, იცავს შინაგანაწესს, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს სკოლის ღონისძიებების ორგანიზებაში. რაც შეეხება ტუტორს, მისი საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების მხარდაჭერას, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. ტუტორი ხელს უწყობს კლასში მშვიდი, დამხმარე და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო და შემოქმედებით აქტივობებში, ინდივიდუალური პრობლემების გადაწყვეტას და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ვალდებულებები მოიცავს აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის მონიტორინგს, კომუნიკაციას მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, ელექტრონული ჟურნალისა და კლასის დოკუმენტაციის მართვას, უსაფრთხოების წესების კონტროლს და მონაწილეობას სკოლის ღონისძიებებში. ტუტორები, ისევე როგორც მასწავლებლის ასისტენტები, როგორც წესი გაკვეთილებს არ ატარებენ, თუმცა პრაქტიკაში დაფიქსირდა გამონაკლისები. კერძოდ, მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული მონაცემების, მოსწავლეებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ ერთი მასწავლებლის ასისტენტი არის ამავდროულად მასწავლებლობის მაძიებელი და ატარებს გაკვეთილებს და ასევე ტუტორების ნაწილი ატარებს გაკვეთილებს სხვადასხვა საათობრივი დატვირთვით (დაწვრილებით იხ. ინდიკატორის აღწერაში).

ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის პრაქტიკა გაცდენილი გაკეთილების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა, რომ სკოლაში გაცდენილი გაკვეთილის ჩანაცვლება ხდება იმავე საგნის სხვა მასწავლებლის მიერ, რომელიც ასწავლის იმავე საფეხურზე ან პარალელურ კლასში. ჩანაცვლება მიზნად ისახავს მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. ჩანაცვლების ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი ან დირექტორის მოადგილე, ხოლო ინფორმაცია წინასწარ იგზავნება კლასის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჩანაცვლების დროს გაკვეთილს ატარებს მხოლოდ ის ტუტორი, რომელიც არის მასწავლებელიც. მართვის საინფორმაციო სისტემის ანალიზით გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა ნაწილს, ისევე როგორც ტუტორების ნაწილს, რომლებიც ატარებენ გაკვეთილებს, არ აქვთ სტატუსი.

ვიზიტის ფარგლებში საჭირო გახდა თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლა. ხელშეკრულებების შესწავლის პროცესში გამოვლინდა რიგი შეუსაბამობები, რომლებიც შეეხებოდა როგორც ხელშეკრულებების გაფორმებას, ისე პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების პროცედურას. დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის განხილვისას კი დადგინდა შეუსაბამობა სკოლის მიერ განსაზღვრულ ექიმის კვალიფიკაციასა და მოქმედ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის. კერძოდ:

- სკოლის მიერ განსაზღვრული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისობაში რეალურად მათ მიერ დაკავებულ პოზიციებთან დაწვრილებით იხ. ინდიკატორის აღწერაში;
- სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს მოპოვებული თანხმობა დასაქმებულებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებების მე-8 პუნქტით განსაზღვრულია „პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება“. აღნიშნული პუნქტით სკოლა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებულისგან იღებს თანხმობას რომ ამ უკანასკნელის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც „ცნობილი გახდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში“. იმავე პუნქტში ვკითხულობთ „წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული თანხმობას აცხადებს სკოლამ სასკოლო ან/და არა სასკოლო აქტივობების (მაგ. გაკვეთილი, ექსკურსია, გასვლითი შეკრებები, სკოლის დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, შეჯიბრებები და ა.შ) მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და გამოიყენოს საჭიროებისამებრ, მაგალითად, სკოლის ცნობადობისა და პოპულარიზაციის მიზნით განათავსოს სოციალურ მედიაში, ინტერნეტ სივრცეში, გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას სკოლის

ტერიტორიასა თუ სხვა სივრცეებში ან გამოიყენოს სხვადასხვა კვლევისთვის“. დასაქმებულს წერილობითი განცხადებით შეუძლია უარი განაცხადოს აღნიშნული პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას, სკოლამ უნდა შეიმუშაოს ცალკე ფორმა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მისაღებად და სკოლის მიდგომა სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტკასთან.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1700	**1438**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ 2025 წლის 19 ნოემბრის N441 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და დაურთო რიგი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 3.1.2.2. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილებასთან დაკაშირებული რისკები იარსებებს მანამ, ვიდრე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების სტსტუსები და პოზიციები არ მოვა სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. შესაბამისად სკოლის არგუმენტირებული პოზიცია არ იქნა გაზიარებული.

ინდკატორი 3.1.2.3.არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულებთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მასწავლებლების მიერ დაკავებული პოზიციები სკოლაში და ხელშეკრულებაში მითითებული პოზიციები შესაბამისობაშია მოყვანილი. თუმცა გამოვლინდა ახალი გარემოებები, კერძოდ, ე.ბ.-ს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოწვეული მასწავლებლის სტატუსით, მაშინ როდესაც მართვის საინფორმაციო სისტემაში მისი საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია 15 საათით. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ მოწვეული მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 %. აქედან გამომდინარე, ე.ბ.-სთვის განგანსაზღვრული 15 საათიანი აკადემიური დატვირთვა სცდება იმ ზღვარს, რომელიც კანონმდებლობით განისაზღვრება მოწვეული მასწავლებლისთვის, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მასწავლებლის პოზიციასა და ფაქტობრივ საათობრივ დატვირთვას შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა გათვალისიწინებულია ხელშეკრულებაშიც. ამონარიდი ხელშეკრულებიდან. „5.2.დასაქმებულის საათების რაოდენობა დგინდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმგვარად, რომ მისი სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა“.შესაბამისად სკოლას დარღვეული აქვს საკუთარი ხელშეკრულების პირობაც.

გარდა აღნიშნულისა მ.ა-სთან გაფორმებულია ორი ხელშეკრულება პირველი ხელშეკრულება გაფორმებულია 20.10.2025 წ. (ხელშეკრულება N118) ტუტორისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოწვეული მასწავლებლის პოზიციაზე (კომპიუტერულ ტექნოლოგიებში დატვირთვა წარმოადგენს 2 საათს), ხოლო მეორე, 27.10.2025 წელს (ხელშეკრულება N139) მათემატიკის უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე, 13 სთ. დატვირთვით (მართვის საინფორმაციო სისტემაში მ.ა. ერთ შემთხვევაში მონიშნულია როგორც მოწვეული მასწავლებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში წერია რომ არ არის მოწეული მასწავლებელი). აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს, ვინაიდან მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა უნდა იყოს არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა. 15 საათიანი აკადემიური დატვირთვა სცდება იმ ზღვარს, რომელიც კანონმდებლობით განისაზღვრება მოწვეული მასწავლებლისთვის, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მასწავლებლის პოზიციასა და ფაქტობრივ საათობრივ დატვირთვას შორის.შესაბამისად ექსპერტების მერი არ იქნა გაზიარებული სკოლის აღნიშნული არუმენტრებული პოზიცია.

ბ.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მასწავლებელთა შერჩევს დამადასტურებელი დოკუმენტაცია რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.

ინდიკატორი 3.1.2.4.

ა.სკოლამ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულთა მონაცემებთან დაკავშირებით ხარვეზები გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მასწავლებელთა/დასაქმებულთა პოზიციებში განხორციელებული ცვლილებები. სკოლის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელდა შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა მონაცემთა გადამოწმება და დასაქმებულთა პოზიციების და დატვირთვის მონაცემების განახლება. აღნიშნულის დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული პერსონალის მონაცემები, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განახლებული ინფორმაცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების, გაანალიზებით დადგინდა, რომ სკოლამ განახორციელა ცვლილებები მართვის საინფორმაციო სისტემაში დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით (მათ შორის დასკნის პროექტში ასახულ მ.კ-სთან მიმართებით, რომელსაც რეალურად უფიქსირდებოდა მუსიკის საათები და არა დასკვნის პროექტში მითითებული ქართული ენისა და ლიტერატურის) და მონაცემები მოიყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. მიუხედავად ამისა, მართვის საინფორმაციო სისტემაში კვლავ იკვეთება რიგი ხარვეზები. კერძოდ, ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების უსტატუსო მასწავლებლებს - ე.ზ.-ს უფიქსირდება 19 საათი, ხოლო თ.ზ.- ს 25 საათიანი დატვირთვა. ა.ო.- ს („ჩვენი საქართველო“, „მე და საზოგადოება“, „სამოქალაქო განათლება“) უფიქსირდება 26 საათი.

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში აცხადებს, რომ „დროებით, შესაბამისი კადრის შერჩევამდე“, აკადემიური საათები გადაანაწილა სტატუსის მქონე პედაგოგებსა და იმ ტუტორებს შორის, რომლებსაც „შესაბამისი განათლება“ ჰქონდათ. ტუტორებთან გაფორმდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებები, ხოლო პარალელურად გამოცხადდა ვაკანსია teachersjob.ge პლატფორმაზე. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მკაფიოდ განისაზღვრებოდა ვადები, თუ რა პერიოდში განხორციელდებოდა საჭირო კადრების შერჩევა და დანიშვნა.

ბ. სკოლამ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განახლებული დოკუმენტი ბრძანება N034/ს (18.11.2025წ.) და სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში ექიმისთვის განსაზღვრულია სავალდებულო სპეციალობები: **პედიატრია, საოჯახო მედიცინა ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი**, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, ამავე დოკუმენტში დამატებით განსაზღვრულია, რომ „თუ სკოლაში დასაქმებულია ერთი ექიმი მაინც, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლას შეუძლია ექიმის

პოზიციაზე დასაქმებული ჰყავდეს კიდევ ერთი ექიმი, რომელსაც აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი სამედიცინო განათლება (საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობას უფლება, ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით". აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ **აუცილებელ** პირობასთან, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის სახეს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს,რომ „ზოგადი პროფილის ექიმის" სერტიფიკატის აღიარება სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნად წარმოადგენს არსებულ **რეგულაციასთან შეუსაბამო ჩანაწერს**, რომელიც საჭიროებს ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ანალოგიურად**, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სკოლაში მოქმედი სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც განსაზღვრულია, რომ: „სკოლის ექიმს აქვს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრის, საოჯახო მედიცინის, ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის ან ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით", ასევე საჭიროებს ნორმატიულ მოთხოვნებთან **შესაბამისობაში მოყვანას**, ვინაიდან „ზოგადი პროფილის ექიმის" სპეციალობა არ წარმოადგენს №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ აუცილებელ სერტიფიცირებულ სპეციალობას სკოლის ექიმის პოზიციისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული სკოლის არგუმენტირებული პოზიცია

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☐ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ იმ პირებიდან, რომლებიც ასწავლიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებს, ყველას არ გააჩნია მასწავლებლის სტატუსი. სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ანალიზით, ასევე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ტუტორებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული პირები (მასწავლებლები და ტუტორები) მონაწილეობენ გაკვეთილების ჩანაცვლების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მასწავლებელთა და ტუტორთა ნაწილს მასწავლებლის სტატუსი არ აქვს, არსებობს რისკი, რომ გარკვეულ შემთხვევებში გაკვეთილების ჩანაცვლება განხორციელდეს უსტატუსო პირთა მიერ.
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის	სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული ხელშეკრულებებისა და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ახალი გარემოებები კერძოდ, ორი მასწავლებლის შემთხვევაში აკადემიური დატვირთვის მოცულობა სცდება იმ მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია მოწვეული მასწავლებლის

	პრინციპების დაცვით	სტატუსისთვის. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	ა. სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა ნაწილი უსტატუსოა ბ.სკოლის მიერ განსაზღვრული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ ექიმის საკალიფიკაციო მოთხოვნებს.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 6-7 ივლისს, რეკომენდაციები არ გაცემულა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი (ბრძანება N024/ს. 01.09.2025 წ.) და შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება/ორგანიგრამა, რაც მის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საშტატო განრიგი ასახავს სკოლაში არსებული საკადრო ერთეულების რაოდენობას, ორგანოგრამა კი წარმოადგენს ვიზუალურ საშუალებას, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლის მმართველობით სტრუქტურას, სტრუქტურულ ერთეულებს, პოზიციებსა და მათ შორის არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთდაქვემდებარებას. სქემაში გამოყოფილი სტრუქტურები/პოზიციები შესაძლებლობას იძლევა, მარტივად იქნეს იდენტიფიცირებული თითოეული ერთეულის როლი, ფუნქცია და პასუხისმგებლობის ფარგლები. იგი ამარტივებს როგორც კომუნიკაციის, ისე პასუხისმგებლობების გამიჯვნის პროცესს და ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ მართვასა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებულად განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, აიტი მენეჯერი, საფეხურის კოორდინატორები, მასწავლებელი, მასწავლებლის ასისტენტი, ტუტორი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, უსაფრთხო

სკოლის მენეჯერი, უსაფრთხოების ოფიცერი, ფინანსური მენეჯერი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი და ბუღალტრის ასისტენტი, გახანგრძლივებული დღის რეჟიმის (ექსტრაკურიკულუმის) ასისტენტი, დიასახლისი, იურისტი, ოფის მენეჯერი, მებაღე, მეეზოვე და მუშა. სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის და თანამშრომლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განსაზღვრული შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ეფექტურ მართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია მიზნობრივად, არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და პრაქტიკაში სრულად მოქმედებს. მასწავლებლებთან, საფეხურის კოორდინატორებთან, იურისტთან, საქმისმწარმოებელთან და დირექტორთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალის, მათი სამუშაო აღწერილობების ანალიზით და სკოლის საშტატო განრიგის შეჯერებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. არ ხდება ფუნქციების დუბლირება ან გადაფარვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;
- საშტატო განრიგი (ბრძანება N024/ს. 01.09.2025 წ.);
- სკოლის სტრუქტურა (ბრძანება N024/ს. 01.09.2025 წ.);

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულია გაკვეთილების ჩანაცვლების რეგულაციის წესი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა. დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში გაკვეთილის ჩანაცვლებას ახორციელებს იმავე საგნის სხვა მასწავლებელი, რომელიც ასწავლის შესაბამის საფეხურზე ან პარალელურ კლასში. ჩანაცვლების ორგანიზებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი ან დირექტორის მოადგილე აკადემიურ საკითხებში. ჩანაცვლებისას გაკვეთილი ტარდება იმავე საგნის მასწავლებლის მიერ სრული შინაარსობრივი დატვირთვით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია გაკვეთილის ალტერნატიული ფორმის გამოყენება. მაგალითად, დისკუსია, თემატური დავალება ან პრაქტიკული საქმიანობა. მასწავლებელი, რომლის გაკვეთილიც უნდა ჩანაცვლდეს, ვალდებულია წინასწარ გადასცეს ჩანაცვლებისათვის საჭირო მასალა ჩამნაცვლებელ მასწავლებელს. ჩანაცვლების განმახორციელებელი მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შესაბამისი ამოცანების შესრულება. ჩანაცვლების აღრიცხვასა და პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობას იღებს სკოლის ადმინისტრაცია. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა დაადასტურეს, რომ დოკუმენტში განსაზღვრული პროცედურები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. მოსწავლეთა განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ტუტორი ასევე ასწავლის საგანს, იგი ახორციელებს მასწავლებლის ჩანაცვლებას. მართვის საინფორმაციო ბაზის მონაცემებიც ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებული ტუტორების ნაწილი ასრულებს საგანმანათლებლო საქმიანობას და ატარებს გაკვეთილებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში დასაქმებული ტუტორებისა და პედაგოგების ნაწილს არ უდასტურდება მასწავლებლის სტატუსი, რაც ქმნის რისკს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ჩანაცვლება განხორციელდება უსტატუსო პირების მიერ.

სკოლა მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში განცხადებას აკეთებს ვაკანსიების პლატფორმაზე teacherjobs.ge-ზე

ხარვეზი. მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ იმ პირებიდან, რომლებიც ასწავლიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებს, ყველას არ გააჩნია მასწავლებლის სტატუსი. სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ანალიზით, ასევე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ტუტორებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული პირები (მასწავლებლები და ტუტორები) მონაწილეობენ გაკვეთილების ჩანაცვლების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მასწავლებელთა და ტუტორთა ნაწილს მასწავლებლის სტატუსი არ აქვს, არსებობს რისკი, რომ გარკვეულ შემთხვევებში გაკვეთილების ჩანაცვლება განხორციელდეს უსტატუსო პირთა მიერ.

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში არ დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული რისკები იარსებებს მანამ, ვიდრე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების

სტსტუსები და პოზიციები არ მოვა სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. შესაბამისად სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების მიერ არ იქნა გაზიარებული.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა. თუმცა, ვიზიტის პერიოდში სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებული შერჩევის პროცედურებს. მასწავლებელთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შეჯერების შედეგად გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პედაგოგთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება ერთ პოზიციაზე, მაშინ როცა ფაქტობრივად იგი დასაქმებული იყო ორ პოზიციაზე (მაგალითად, მ.ა.-სთან სკოლას გაფორმებული ჰქონდა ტუტორის ხელშეკრულება, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს იგი დასაქმდა ასევე მასწავლებლის პოზიციაზე 15 საათიანი დატვირთვით, რაზეც ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული. მ.ა-სთვის საათების განაწილება დასტურდება როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი ასევე მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემებით). სკოლის იურისტის განმარტებით, მიმდინარეობს შრომითი ხელშეკრულებების ეტაპობრივი განახლება და შესაბამისობაში მოყვანა, რის გამოც ყველა დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ეტაპზე არ არის სრულად თანხვედრაში მათი ფაქტობრივი პოზიციებისა და ფუნქციების აღწერასთან.

ხარვეზი:

ა. დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისობაში რეალურად დაკავებულ პოზიციებთან.

ბ.სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა შერჩევის პროცედურის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულებთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მასწავლებლების მიერ დაკავებული პოზიციები სკოლაში და ხელშეკრულებაში მითითებული პოზიციები შესაბამისობაშია მოყვანილი. თუმცა გამოვლინდა ახალი გარემოებები, კერძოდ, ე.ბ.-ს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოწვეული მასწავლებლის სტატუსით, მაშინ როდესაც მართვის საინფორმაციო სისტემაში მისი საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია 15 საათით. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ მოწვეული მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 %. აქედან გამომდინარე, ე.ბ.-სთვის განგანსაზღვრული 15 საათიანი აკადემიური დატვირთვა სცდება იმ ზღვარს, რომელიც კანონმდებლობით განისაზღვრება მოწვეული მასწავლებლისთვის, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მასწავლებლის პოზიციასა და ფაქტობრივ საათობრივ დატვირთვას შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა გათვალისიწინებულია ხელშეკრულებაშიც. ამონარიდი ხელშეკრულებიდან. „5.2.დასაქმებულის საათების რაოდენობა დგინდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმგვარად, რომ მისი სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა“.შესაბამისად სკოლას დარღვეული აქვს საკუთარი ხელშეკრულების პირობაც.

გარდა აღნიშნულისა მ.ა-სთან გაფორმებულია ორი ხელშეკრულება პირველი ხელშეკრულება გაფორმებულია 20.10.2025წ. (ხელშეკრულება N118) ტუტორისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოწვეული მასწავლებლის პოზიციაზე (კომპიუტერულ ტექნოლოგიებში დატვირთვა წარმოადგენს 2 საათს), ხოლო მეორე, 27.10.2025 წელს (ხელშეკრულება N139) მათემატიკის უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე, 13 სთ. დატვირთვით (მართვის საინფორმაციო სისტემაში მ.ა. ერთ შემთხვევაში მონიშნულია როგორც მოწვეული მასწავლებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში წერია რომ არ არის მოწეული მასწავლებელი). აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს, ვინაიდან მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა უნდა იყოს არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა. 15 საათიანი აკადემიური დატვირთვა სცდება იმ ზღვარს, რომელიც კანონმდებლობით განისაზღვრება მოწვეული მასწავლებლისთვის, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მასწავლებლის პოზიციასა და ფაქტობრივ საათობრივ დატვირთვას შორის.შორის.შესაბამისად ექსპერტების მერი არ იქნა გაზიარებული სკოლის აღნიშნული არუმენტრებული პოზიცია.

ბ.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მასწავლებელთა შერჩევს დამადასტურებელი დოკუმენტაცია რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი (ბრძანება №024/ს, 01.09.2025), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციის: დირექტორის, იურისტის, ფინანსური დირექტორის, ბუღალტრის, ბუღალტრის ასისტენტის, საფეხურის მენეჯერის, საფეხურის კოორდინატორის, მასწავლებლის, ტუტორის/კლასის დამრიგებლის, მასწავლებლის ასისტენტის/გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ასისტენტის, კათედრის ხელმძღვანელის, საქმისმწარმოებლის, ოფის მენეჯერის, ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელის, IT სპეციალისტის, უსაფრთხო სკოლის მენეჯერის, ექიმის, უსაფრთხოების ოფიცრის,

ფსიქოლოგის, ბიბლიოთეკარის, დიასახლისის, მებაღე/მეეზოვის და მუშა/ხელოსნის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის ანალიზით დადგინდა, რომ:
ა. სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღრული აქვს სკოლას (უმაღლესი სამედიცინო განათლება MD ან შესაბამისი დიპლომი, სასურველია ბავშვთა სამედიცინო მიმართულებით დამატებითი სპეციალიზაცია) არ მოდის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებასთან N41/ნ/01-23/ნ-თან. რომლის მიხედვითაც სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. შესაბამისად სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დებულება და სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ კანონმდებლობასთან.

ბ.მასწავლებლის ასისტენტის/გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ასისტენტის პოზიციისათვის დოკუმენტით განსაზღვრულია შემდეგი მოთხოვნები: საგანმანათლებლო სფეროში ბაკალავრის ხარისხი (ჩაითვლება უპირატესად); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი; მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში (ჩაითვლება უპირატესად). მართვის საინფორმაციო ბაზის ანალიზით გამოვლინდა, რომ სკოლაში დასაქმებული 58 მასწავლებლის ასისტენტიდან 1 არის მასწავლებლობის მაძიებელი, ხოლო ნაწილი სტუდენტია, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებითაც. მათი სამუშაო აღწერილობის მიხედვით ისინი ეხმარებიან მასწავლებელს სწავლების პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისა და პოზიტიური საკლასო გარემოს უზრუნველყოფაში. როგორც დირექციასთან გასაუბრებით და მასწავლებლების ასისტენტების ნაწილთან ინტრევიუთი დადგინდა მასწავლებლის ასისტენტები დამოუკიდებლად გაკვეთილებს არ ატარებენ. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით მასწავლებლის ასისტენტი თ.ა. ატარებს 5 საათს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ა.ბ. ატარებს 19 საათს ისტ-ში, ა.გ. ატარებს 12 საათს ფიზიკურ აღზრდაში, მ.კ. 18 საათი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მ.კ. , ე.ძ და მ.შ. ატარებენ 2- 2 საათს ისტში, ნ.ჩ. ატარებს 15 საათს მუსიკაში. ჩამოთვლილ მასწავლებლის ასისტენტებს არ უდასტურდებათ მასწავლებლის სტატუსი.

გ.ტუტორის/კლასის დამრიგებლის პოზიციისათვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება (მაგისტრის ხარისხი უპირატესად) და მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში. ხოლო ტუტორის დებულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები: კლასის საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამისა და აქტივობების დაგეგმვა, მოსწავლეთა და

მშობლების ინფორმირება სკოლის ძირითადი დოკუმენტებისა და წესების შესახებ, მოსწავლეთა კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ქცევის კონტროლი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კლასის დოკუმენტაციის მოწესრიგება და განახლება,მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი და მხარდაჭერა აკადემიური და პიროვნული პრობლემების გადაჭრაში, ურთიერთობა მშობლებთან საგაკვეთილო გარეთ აქტივობების ორგანიზება ელექტრონული ჟურნალის კონტროლი და სხვა. ტუტორის ფუნქციებში გაკეთილების ჩატარება არ შედის, თუმცა სკოლაში დასაქმებულია 20 ტუტორი, რომელთაგან 5-ს აქვს ოფიციალურად დადასტურებული მასწავლებლის სტატუსი. 4 -ს აქვს საათები, თუმცა მასწავლებლის სტატუსი არ უდასტურდება ესენია: ბ.მ საათობრივი დატვირთვა 1 სთ, თ.მ საათობრივი დატვირთვა 1 სთ, მ.ს. საათობრივი დატვირთვა 6 სთ და თ.ქ საათობრივი დატვრთვა 2 სთ.

ტუტორებთან და მასწავლებლის ასისტენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება ექსპერტებისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების გადამოწმება, თუმცა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ყველა დასაქმებულთან მათი პოზიციის სრულად შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები (იხ.3.1.2.3 ინდიკატორის აღწერა).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შინაარსობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალიდან 140 მასწავლებელია, მათ შორის სტატუსი უდასტურდება 104 მასწავლებელს,(5 მენტორია, 8 წამყვანი, 86 უფროსი, 5-მოწვეული), 13 მასწავლებლის მონაცემები გაგზავნილია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მასწავლებლის სტატუსის დასადატურებლად, 8 მასწავლებლობის მაძიებელია (მათ შორის 1 მაძიებელი დასაქმებულია მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე), ხოლო 15 მასწავლებელს არ უდასტურდება სტატუსი.

ხარვეზი:

ა. სკოლაში დასაქმებული პერსონალიდან უსტატუსოა 15 მასწავლებელი. 4 ტუტორი, და 8 მასწავლებლის ასისტენტი რომლებსაც არ უდასტურდებათ მასწავლებლის სტატუსი და მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით აქვთ საათობრივი დატვირთვა.
ბ.სკოლის მიერ განსაზღვრული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებას N41/ნ/01-23/ნ.

ა.სკოლამ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულთა მონაცემებთან დაკავშირებული ხარვეზები გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მასწავლებელთა/დასაქმებულთა პოზიციებში განხორციელებული ცვლილებები. სკოლის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელდა შესაბამისი

ადმინისტრაციული ღონისძიებები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა მონაცემთა გადამოწმება და დასაქმებულთა პოზიციების და დატვირთვის მონაცემების განახლება. აღნიშნულის დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული პერსონალისა მონაცემები, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განახლებული ინფორმაცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების, გაანალიზებით დადგინდა, რომ სკოლამ განახორციელა ცვლილებები მართვის საინფორმაციო სისტემაში დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით (მათ შორის დასკნის პროექტში ასახულ მ.კ-სთან მიმართებით, რომელსაც რეალურად უფიქსირდებოდა მუსიკის საათები და არა დასკვნის პროექტში მითითებული ქართული ენისა და ლიტერატურის) და მონაცემები მოიყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. მიუხედავად ამისა, მართვის საინფორმაციო სისტემაში კვლავ იკვეთება რიგი არსებითი ხარვეზები. კერძოდ, ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების უსტატუსო მასწავლებლებს - ე.ზ.-ს უფიქსირდება 19 საათი, ხოლო თ.ზ.- ს 25 საათიანი დატვირთვა. ა.ო.- ს („ჩვენი საქართველო“, „მე და საზოგადოება“, „სამოქალაქო განათლება“) უფიქსირდება 26 საათი.

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში აცხადებს, რომ „დროებით, შესაბამისი კადრის შერჩევამდე“, აკადემიური საათები გადაანაწილა სტატუსის მქონე პედაგოგებსა და იმ ტუტორებს შორის, რომლებსაც „შესაბამისი განათლება“ ჰქონდათ; ტუტორებთან გაფორმდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებები, ხოლო პარალელურად გამოცხადდა ვაკანსია teachersjob.ge პლატფორმაზე. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მკაფიოდ განისაზღვრებოდა ვადები, თუ რა პერიოდში განხორციელდებოდა საჭირო კადრების შერჩევა და დანიშვნა.

ბ. სკოლამ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განახლებული დოკუმენტი ბრძანება N034/ს (18.11.2025წ.) და სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში ექიმისთვის განსაზღვრულია სავალდებულო სპეციალობები: **პედიატრია, საოჯახო მედიცინა ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი**, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, ამავე დოკუმენტში დამატებით განსაზღვრულია, რომ „თუ სკოლაში დასაქმებულია ერთი ექიმი მაინც, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლას შეუძლია ექიმის პოზიციაზე დასაქმებული ჰყავდეს კიდევ ერთი ექიმი, რომელსაც აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი სამედიცინო განათლება (საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობას უფლება, ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით“. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ **აუცილებელ** პირობასთან, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის სახეს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს,რომ „ზოგადი პროფილის ექიმის“ სერტიფიკატის აღიარება სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნად წარმოადგენს **რეგულაციასთან შეუსაბამო ჩანაწერს**, რომელიც საჭიროებს ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ანალოგიურად**, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სკოლაში

მოქმედი სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც განსაზღვრულია, რომ: „სკოლის ექიმს აქვს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრის, საოჯახო მედიცინის, ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის ან ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით“, ასევე საჭიროებს ნორმატიულ მოთხოვნებთან **შესაბამისობაში მოყვანას**, ვინაიდან „ზოგადი პროფილის ექიმის“ სპეციალობა არ წარმოადგენს №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ აუცილებელ სერტიფიცირებულ სპეციალობას სკოლის ექიმის პოზიციისთვის.

ინდკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი (ბრძანება №024/ს, 01.09.2025);
- გაკვეთილის ჩანაცვლების რეგულაციის წესი (ბრძანება N024/ს. 01.09.2025 წ.);
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი.26/11/2025 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოზესაძეი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: